შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

ქ. თბილისი 25 თებერვალი, 2014წ.

ერთი მხრივ, **საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საზოგადოებრივი მაუწყებელი"** (შემდგომში - *„მაუწყებელი"*) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის გიორგი ბარათაშვილის სახით,

და მეორეს მხრივ, **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კაბადონი +"** (შემდგომში – *„კომპანია"*), წარმოდგენილი დირექტორის თეა გადაბაძის სახით,

რამდენადაც, დღეის მდგომარეობით, კომპანიას მაუწყებლის მიმართ გააჩნია დავალიანება 23273.90 (ოცდასამი ათას ორასსამოცდაცამეტი ლარი და ოთხმოცდაათი თეთრი) ლარი დღგ-ს ჩათვლით (თანახმად 2013 წლის 28 ივნისის იჯარის ხელშეკრულებისა №94-3 და 2010 წლის 28 დეკემბრის შეთანხმებისა – დაგროვილი დავალიანების დადგენილი გრაფიკით გადახდის შესახებ);

რამდენადაც, დღეის მდგომარეობით, მაუწყებელს კომპანიის მიმართ გააჩნია დავალიანება 2030 (ორი ათას ოცდაათი) ლარის ოდენობით დღგ-ს ჩათვლით, თანახმად მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებებისა №2-5 - 08/01/2014 და №28-2 - 13/02/2014

წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. მოხდეს მხარეებს შორის არსებული დავალიანების გაქვითვა, რის შედეგადაც კომპანიის დავალიანება მაუწყებლის მიმართ ჯამში წარმოადგენს 21243.90 (ოცდაერთი ათას ორასორმოცდასამი ლარი და ოთხმოცდაათი თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

2. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

3. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო გადაეცემათ მხარეებს.

4. **მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები:**

სსიპ **„საზოგადოებრივი მაუწყებელი"**	**შპს** **„კაბადონი +"**
მის.: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68 საიდენტიფიკაციო კოდი: 204 858 163	მის.: ქ. თბილისი, ნუცუბიძის III მ/რ, III კვ, კორპ. 8; ბ.7 საიდენტიფიკაციო კოდი: 205 186 065
გენერალური დირექტორი	დირექტორი
---	---
გიორგი ბარათაშვილი	თეა გადაბაძე